

Tamar Tsitsishvili

თამარ ციციშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The Institute of Censorship Committee of the Russian Empire and Georgian Language Policy

(80s-90s of XIX century)¹

**რუსეთის იმპერიის საცენზურო კომიტეტის ინსტიტუტი და ქართული ენის პოლიტიკა
(XIX საუკუნის 80-90 წლები)**

The Caucasian Censorship Committee's 19th-century activities in Georgia reveal Russian imperial efforts to suppress Georgian identity. After banning mentions of Georgia in public discourse (1880s), the Committee amended Iakob Gogebashvili's *Bunebis Kari* (1885), replacing "Georgia" with regional terms. Criticism of Georgian language education was forbidden, Russian was imposed, and teaching Georgian was sidelined or banned. Megrelian and Svani languages were promoted to fracture unity. "Mute teaching" aimed to erode Georgian identity. Returning Muslim Georgians were labeled Turks, and separatists were expelled from education. This systematic censorship highlights the Empire's strategy to dominate Georgia by undermining its language, culture, and unity.

Key words: XIX century, Georgian Language, Russian Empire.

საკვანძო სიტყვები: XIX საუკუნე, ქართული ენა, რუსეთის იმპერიული ცენზურა.

რუსეთის იმპერია თავის ტერიტორიაზე მკაცრ დამპყრობლურ პოლიტიკას აწარმოებდა და ამ პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაში მის სადამსჯელო ორგანოებს – პოლიციასა და ჟანდარმერიას ცენზურაც გვერდში ედგა. საცენზურო კომიტეტი ზედამხედველობითი ორგანო იყო, რომლის ფუნქციებში იმპერიის ტერიტორიაზე მისთვის არასასურველი ინფორმაციის, მიუღებელი აზრებისა და ცნობების გავრცელების აკრძალვა შედიოდა. XIX საუკუნის იმპერიულმა რუსეთმა მწვავედ იგრძნო ცენზურის სპეციალური ინსტიტუტის არსებობის საჭიროება. ეს ვითარება პირდაპირ კავშირშია იმ ეპოქაში ინფორმაციის და მის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასთან. ცენზურა ხდება ძალაუფლებისა და „ფილტრაციის“ ორგანო, ის იმპერიისათვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს, კერძოდ, უცხო, დესტრუქციული ძალებისათვის ხდება ერთგვარი ბა-

¹ The research was supported by a Grant (FR 021-8835) funded by Shota Rustaveli National Science Foundatio of Georgia

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (F R – 21 – 8335).

რიერი. ცენზურის გარეშე იმპერიის ნორმალური ფუნქციონირება უკვე შეუძლებელი ხდება. იმპერიულ სამთავრობო სტრუქტურაში მსგავსი ტიპის მნიშვნელოვანი, მკაცრი სადამსჯელო ინსტიტუტის არსებობა, მეცნიერებს საშუალებას აძლევს, რომ ცენზურა კულტურულ-ისტორიულ ფენომენად განიხილონ. იმპერიულ ცენზურას ევალებოდა მკაცრად გაეკონტროლებინა ტექსტი, ქვეტექსტი, სიმბოლო, ფარული მინიშნება, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც მთავრობა საფრთხის შემცველად ჩათვლიდა. ლიტერატურა და პერიოდული პრესა განსაკუთრებულ ცენზურას ემორჩილებოდა. მეფის რუსეთის ხელისუფლებამ კარგად გააცნობიერა საზოგადოებრივ აზრზე პრესის „ძალაუფლების“ და გავლენის უნიკალური მნიშვნელობა, რასაც ცენზურის ინსტიტუციონალიზაცია მოჰყვა. XIX საუკუნეში დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა და თავისუფალი სიტყვა მთავრობის ოპოზიციურ ინსტიტუტად ყალიბდება. პრესას აეკრძალა ნებისმიერი ცნობის გამოქვეყნება, რომელიც იმპერიაში პოლიტიკურ, სოციალურ, ნაციონალურ პროცესებს, გამოსვლებსა თუ ნებისმიერი სახის მღელვარებას აშუქებდა.

საქართველოში 1848 წელს დაარსდა კავკასიის საცენზურო კომიტეტი, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის შემადგენლობაში შევიდა. მის საქმიანობას სასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე ახორციელებდა. 1860 წლიდან საცენზურო კომიტეტი ცალკე დაწესებულებად ჩამოყალიბდა, 1863 წლიდან ის შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა, ხოლო შემდგომ, 1867 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს დაექვემდებარა. საქართველოსთვის ეს უმძიმესი პერიოდი შეფასებულია, როგორც „საცენზურო ტერორის ეპოქა“. იმპერიული ცენზურა სასტიკად ებრძოდა და სდევნიდა ყოველივე ქართულს – ეკლესიას, მწერლობას, თეატრს, პრესას და ზოგადად ქართულ სიტყვას. კომიტეტის ფუნქციებში შედიოდა გაეკონტროლებინა, თუ საჭირო იყო, დაებლოკა არა მარტო ყველა წიგნი, მხატვრული ტექსტი, კრიტიკულ-პუბლიცისტური მასალა, პრესის ორგანო, არამედ სასულიერო ლიტერატურა, საბაჟოები, ტიპოგრაფიები, მუსიკალური ნოტები, მხატვრული ტილოები და ასე შემდეგ. ცენზურა იყო წინასწარი და შემდგომი. წინასწარი ცენზურა, შინაარსიდან გამომდინარე, თავიდანვე ამოწმებდა და კრძალავდა საცენზურო კომიტეტში შემავალ ნებისმიერ მასალას, ან ნებართვას იძლეოდა მათ დაშვებაზე. შემდგომი ცენზურა კი, თუ ადგილი ექნებოდა რაიმე სახის მასალის „გაპარვას“, სანქციებსა და შემზღვევად ღონისძიებებს ახორციელებდა.

რაც შეეხება რუსულ პრესას, იქ საქართველოზე დაბეჭდილი ცილისმწამებლური სტატიები ცენზურას არ გადიოდა. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ „სოვრემენი ვესტნიკი“, რომელიც ასაბუთებდა, რომ ქართველი ერი დაკნინდა, გადაგვარდა ზნეობრივად და მორალურად, გამოიფიტა და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ცივილიზებულ სამყაროსთან. XII საუკუნეც კი ქართველი ერისათვის მორალური გახრწნის და გადაგვარების ეპოქა ყოფილა. ილია ჭავჭავაძე ამგვარი ტიპის წერილებზე წერდა, სხვა ქვეყანაში ასეთი რამ რომ გაბედოს გაზეთმა, მკითხველი შეუთვლის – „შენმა სუნმა ამაყრალა და აწი ჩემსას არ გაიჭაჭანო“.

საგულისხმოა, რომ საცენზურო კომიტეტი თავის დოკუმენტებში ასაბუთებდა, რომ ქართველები „ყაჩაღები, ველურები“ არიან და რეფორმების ღირსიც არ იყვნენ“. დოკუმენტებში ქართველებს ყოველთვის „ტუზემცებს“ უწოდებდნენ და არა მარტო ქართველები, არამედ სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილო კავკასიელები ყველა კავკასიელ ტუზემცებად მოიხსენიებიან.

საქართველოში სხვადასხვა დროს ცენზორებად მუშაობდნენ, ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს, – ევრემ ალექსი-მესხიშვილი, ივანე ყაითმაზოვი, „დროდადრო“ ნიკოლოზ ბერძენიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი ფურცელაძე, ლუკა ისარლიშვილი, რაფიელ ერისთავი და სხვები. განსაკუთრებული სისასტიკით ლუკა ისარლიშვილი და ივანე ყაითმაზოვი გამოირჩეოდნენ. მოვიყვანოთ ერთი სახალისო ისტორია. ლუკა ისარლიშვილმა პოლიტიკური მოტივით სასტიკად აკრძალა აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსის „გლესავ და გლესავ ნამგალოს“ გამოქვეყნება. აკაკიმ ეს ლექსი ფოთში დაბეჭდა და ქვეშ ავტორად ლუკა ისარლოვი მიაწერა (მიქაძე, 1998). აქვე გვინდა გავიხსენოთ რაფიელ ერისთავის, როგორც ცენზორის დიდი ღვაწლი. რაფიელ ერისთავი 1889

წლიდან საცენზურო კომიტეტში ქართული ენის ცენზორია. მას უნდა ვუმაღლოდეთ ალექსანდრე ყაზბეგის ოთხტომეულის (საცენზურო კომიტეტს მისი ორ ტომად გამოშვება სურდა), პოეტი მამია გურიელის თხზულებების (იმპერიის საწინააღმდეგო პატრიოტული თემატიკის გამო აიკრძალა) დაბეჭდას და სხვა მრავალი ეროვნული ინტერესის დაცვასა და ხელშეწყობას. თუნდაც „ივერი-აში“ 1896 წელს დაბეჭდილი ფელეტონი „სურათები მოსწავლეთა ცხოვრებიდან“, რომლის გამოც ილია ჭავჭავაძემს მითითება მიეცა, ხოლო რაფიელ ერისთავს კი საცენზურო კომიტეტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა. ალექსანდრე ჯაბადარი იხსენებდა, რაფიელ ერისთავმა შინაურულად მითხრა, არ ვიცი ცენზორად რამდენ ხანს ვიმუშავებ და სანამ აქ ვარ, თუ რაიმე გაქვს საეჭვო დასაბეჭდად სასწრაფოდ მოიტანეო. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს რაფიელ ერისთავის პიროვნება და საცენზურო კომიტეტში მისი მუშაობის ხასიათი. როგორც ლიტერატურათმცოდნეები აღნიშნავენ, რაფიელ ერისთავის ცენზორობის პერიოდში, არაერთი და ორი საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. 1896 წელს რაფიელ ერისთავმა საკუთარი ნებით დატოვა საცენზურო კომიტეტი. საცენზურო კომიტეტის მასალებში რაფიელ ერისთავის, როგორც ცენზორის ხელმოწერით ვხვდებით, ხშირ შემთხვევაში, იმპერიისათვის მიუღებელ ტექსტებს, რომელიც ყოველგვარი შეფერხების გარეშე დაიბეჭდა. რაფიელ ერისთავისადმი ქართული საზოგადოების დიდი მიწიწების დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ამონარიდები ნიკო ავალიშვილის წერილიდან, რომელშიც ის მწერალს „მნათობთან“ (ნიკო ავალიშვილი 1869-1870 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს“ – თ.ც.) დაკავშირებით დახმარებას სთხოვს. „ღრმად პატივცემულო კნიაზო რაფიელ, მრავალთგან მსმენია თქვენი ნამდვილი ქართველობა და ქართული ლიტერატურისადმი დიდი თანაგრძნობა, <...> ჩვენი დავრდომილი ლიტერატურა, რომელიც ყოველთვის მოელის თქვენ თანაგრძნობას, <...> მოგესხენებათ, რაცუდ და უფერულ მდგომარეობაშია ახლა საზოგადოდ ქართული ლიტერატურა და დროგამოშვებითი გამოცემები, <...> ეს გარემოება (ვერ პოულობს მომხმარებელსა და რჩება „გაუსყიდავი“ – თ.ც.) ჰბადებს ჩვენი ლიტერატურის თითქმის ერთ ადგილზე დგომას და მასთანავე შინაარსის უფერულობას, <...> საზოგადოებას, რომელსაც თავის დამამცირებელი შექცევა და ფანატია ათასჯერ უკეთასად მიაჩნია, ვიდრე „რადაც ქართული ლიტერატურა“, <...> კნიაზო, ამისათვის გაგიბედეთ და გთხოვთ, რომ თქვენი გავლენა დაახმაროთ ჩვენს ნორჩ „მნათობს“ და შეძინოთ რამდენიმე ხელისმომწერი, <...> იქნება ფრიად სასარგებლო ქართული ლიტერატურისათვის, რომლის პირველთაგანი თანამშრომელი თქვენ ბრძანდებით. ამასთან დიდად გთხოვთ თქვენის შრომითაც დაეხმაროთ „მნათობსაც“, <...> ამ იმედით დავშთებით თქვენგან დახმარების მოლოდინში თქვენი დიდად პატივისმცემელი ნიკო ავალიშვილი (ნიკო ავალიშვილის არქივი).

ქართული მწერლობა და პრესა, როგორც მაშინ წერდნენ, ეზოპეს ენით ალევგორიულობით, საოცარი მოქნილობით, ხან პირდაპირ და ხან ნართაულად, ებრძოდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და უმოწყალოდ დაჩეხილ-დასახიჩრებული წერილები პრესაში მაინც იბეჭდებოდა. „ჩემს სიცოცხლეში ცხადად თუ სიზმრად – წერდა აკაკი – ერთი რამ უფრო მაფრთხობდა ყველაზე და საფლავშიც ქარცეცხლად მიმყვება, მე ვამბობ ცენზურა“. აკაკი ცენზორს „ტვინმეისტერს“ უწოდებდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში კოლონიურმა ჩაგვრამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. 1882 წლიდან ოფიციალურად აიკრძალა საქართველოს სახელის საჯაროდ ხსენება, იმპერია აიძულებდა ქართველობას ენით, გონებითა და გრძნობით რუსი გამხდარიყო (ციციშვილი, 2022). მანამდე კი 1874 წელს ქართული ენა არასავალდებულო საგნად ცხადდება და გიმნაზიის პროგრამებიდან სრულად იდევნება. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სინოდისა და ეგზარხოსების განკარგულებით მთლიანად იქნა ამოღებული არასავალდებულო საგანი ქართული ენა. გიმნაზიებში იკრძალება ქართული ენის სწავლება და ეს საათები მთლიანად რუსული ენის გაკვეთილებს დაეთმო. „დედაენის სწავლება ოფიციალურად საოჯახო საქმედ გამოცხადდა“. როგორც ცნობილია, სწავლების ამ მეთოდს „მუნჯური სწავლების“ მეთოდი ეწოდა, რომელიც ასახიჩრებდა ქართველების გონებასა და სულს, აჩლუნგებდა აზრსა და ენას, ადგილი ჰქონდა ძალდატანებით ასიმილაციას. იმპერიული ცენზურისათვის სას-

ტიკად მიუღებელი ხდება სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით არსებულ ნეგატიურ მდგომარეობაზე და გაუსაძლის პირობებზე წერა (ციციშვილი, 2024). იმ პერიოდის პრესას თუ გადავხედავთ, ჩვენდა სამწუხაროდ, იყო შემთხვევები, როდესაც ამგვარ ინფორმაციასაც ვაწყდებით, რომ ზოგიერთ „ვაი ქართველს“ ეს საკითხი სრულებით არ ანაღვლებდა და გაიძახოდა კიდევ ქართული ენის სწავლა რა სავალდებულოა, მერეც მოვესწრებითო. ნიშანდობლივია, რომ სამწუხაროდ იყვნენ ქართული ენის მასწავლებლები, ვინც ქართული კარგად არ იცოდა.

რუსეთის იმპერიის კოლონიური ჩაგვრის მიზანი იყო დაეთრგუნა ქართული ცნობიერება და „ეროვნული აზრი“. რაც შეეხება განსაკუთრებულ აგრესიულობას ქართულ ენასთან დაკავშირებით გასაგებიცაა, რადგან თუ ქართველები მშობლიურ ენასა და ისტორიას დაივიწყებდნენ, იმპერია თავის მიზანს ადვილად მიაღწევდა, ქართველი ერი თანდათან დაკარგავდა თავის იდენტობას და გარუსდებოდა. ქართული ენა კი ქართველი ერისათვის „უკანასკნელი თავშესაფარი“ იყო. პირველი ნიშანი ერის ვინაობისა ენაა – წერდა ილია. „ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეაფარა თავი“.

რუსეთის იმპერია ქართული ენის დისკრიმინაციისათვის ყოველნაირ ხერხს მიმართავდა, ახალისებდა მოსახლეობას, რომ სამეგრელოს, აჭარისა და სვანეთის სოფლებში ქართული ენის ნაცვლად სწავლება მეგრულად და სვანურად ყოფილიყო. იმპერია მეგრელებს, სვანებს, აჭარლებს ცალკე ეროვნებად აღიარებდა, ხოლო მუსულმან ქართველებს, ვინც სამშობლოს დაუბრუნდა, თურქებად აცხადებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ეს „ნაცუმცირესობათა დაცვის მიზნით“ ხდებოდა. ცარიზმი განუწყვეტელ მცდელობაში იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეები ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა. იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მიზანი გახლდათ სწორედ ამ გზით ქართველი ერი „დაენაწევრებინა“, რაც შემდგომ დაეხმარებოდა ცარიზმს ქვეყნის სრულ რუსიფიკაციაში და საქართველოს თითოეული კუთხის სრულ ასიმილაციაში. იმპერიული მთავრობა აპირებდა, რომ რუსულ ენაზე დაყრდნობით მეგრელებისათვის არა მარტო ანბანი „შექმნა“, არამედ წირვა-ლოცვაც და საღვთო წერილიც მეგრულ ენაზე ეთარგმნათ. იმპერიის განათლების მინისტრის დულიანოვის განკარგულებით, ვითომდა „სეპარატიზმში შემჩნეულ“ ქართველობას საგანათლებლო სისტემა უნდა დაეტოვებინა“. 80-იან წლებში რუსეთის იმპერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც მეგრული და სვანური ქართულ ენასთან სრულიად შორს მდგარ ენებად გამოაცხადა, მეგრელებისათვის ცალკე ანბანი და დაწყებითი სკოლებისათვის სახელმძღვანელოები უნდა შეექმნათ. 1885 წლის ბრძანებით მიხედვით კი სამეგრელოს სკოლებში ქართული ენა აიკრძალა და სწავლებაც შესაბამისად დაწყებით კლასებში მეგრულად უნდა დაეწყოთ (შემდგომ, ბუნებრივია, რუსულად გაგრძელდებოდა – თ. ც.). რუსულ ენაზე დაყრდნობით ანბანიც იქმნება და საღვთო წიგნების თარგმანიც სცადეს, მაგრამ მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოდების მცდელობა ჩაიშალა. იგივე ვითარებაა სვანური ენის მიმართაც. ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები წინ აღუდგნენ ერისთვის დამღუპავ იმპერიულ პოლიტიკას და „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლა გამოუცხადეს მას.

(ფონდი 480– 1, 1340) 1896 წელს აკრძალულია „ჯეჯილში“ დასაბეჭდად მომზადებული კ. დოდაშვილის სტატია. კ. დოდაშვილი წერილში აღმფოთებული წერს, რომ „ერთერთმა იმპერიულმა კანცელარიამ“ (არ წერენ რომელი – თ.ც.) ბრძანება გამოსცა, რომ მეგრული ამიერიდან განცალკავებულად მდგომ ენად ირიცხებოდეს. „ენას, რომელსაც თავის განვითარებაში ვითომც მაღალ ფორმაციამდე კიდევ მიულწევია, ამიტომაც უნდა ითარგმნოს ამ დიად ენაზედ ღვთის მსახურება მართმადიდებელი ეკლესიისა და მოსწყდეს ამერით ვარსკვლავი ცისა საქრისტიანოსა და დასდგინდეს ეკლესია სამეგრელოსი განცალკავებით საქართველოს ეკლესიისაგან, რომელსთანა ათთხუთმეტი საუკუნე მონებრივი დამოკიდებულება აქუნდეს, ისმინეთ მონანო მომავლისა სამეგრელოს ეკლესიისთანო“. ამ ბრძანებულებით „დიდებული განვითარებული და თვის ეროვნული კულტურის სიმძლავრის გამომხატველი მეგრული ენა ირიცხებოდეს, მეგრელებისათვის

უვარგის, გამოუსადეგარ ქართულ ენასთან, იმ მანძილზე მდგრად, რა მანძილზედ თურმე ყოფილა რუსულისაგან პოლონური და ჩეხური“. სასაცილოა, წერს ავტორი, რომ მეგრული დაშორდეს ქართულს, რომლის ღვიძლი ძმა არის. დოდაშვილი წუხს, რომ „უადგილობის გამო ვეღარ ახერხებს წერილის გაგრძელებას“. წერილი ტიპური ნიმუშია თუ როგორ მეთოდურად ცდილობს იმპერია არარუს ხალხთა დევნა-შევიწროებას, მათთვის ისტორიისა და წარსულის დავიწყებას, რადგან სწორედ ეს გახლდათ იმპერიული რუსეთის ეროვნული პოლიტიკა. სწავლა-განათლება ცენზურის, ამ პოლიციური აპარატის ხელშია, რომელიც ავიწროებს ქართულ ენას, აპირისპირებს რა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს, ხოლო მეგრელებს სვანებსა და აჭარლებს არაქართველ მოსახლეობად აცხადებს. მაგალითად თადა აშორდიამ 1889 წელს რუსულ ანბანზე დაყრდნობით შეადგინა მეგრული ანბანი. მეგრული ანბანის შექმნა ალექსი გრენსაც მიანდევს, რომელიც ურცხვად, წერდა, რომ სურდა „არაპირდაპირ, როგორმე ნაციონალური ბრძოლისათვის გამოძევა მეგრელები, რომელნიც უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან ითვლებიან და, მართლაც, ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებელია საკუთარი, ნაციონალური ალფაბეტის ქონების გარეშე, რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისე გამოხატავს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში ქართველი და ბოლოს, უალფაბეტო შეუძლებელია რაიმე მეცნიერება, ცივილიზაციის 15 რაიმე ნაპერწკალიც კი“ (ხუნდაძე, 1951). 1892 წელს კი ლევიცკი რუსული ენის სახელმძღვანელოს მეგრული ენის საფუძველზე ადგენს. ლევიცკისთან დაკავშირებით იხილეთ ფელეტონი „პედაგოგიური საკვირველებანი“ ლევიცკიზე („ივერია“, 1802, 22 იანვარი). აქვე დავძენთ, რომ კ. დოდაშვილი წერილში მეგრულის მიმართ არაკორექტულ სიტყვებსაც ხმარობს.

ფონდი (480- 1, 1190) 1893 წელს აიკრძალა ფრონელის (ალექსანდრე ყიფშიძე) სტატია, რომელიც „ივერიაში“ უნდა დაბეჭდილიყო. წერილი მეტად მტკივნეულ საკითხს ეხება, კერძოდ, იმპერიული ცენზურა უკრძალავს ქართველებს, რომ მეტრიკისა და „აღსარების წიგნები“ ქართულ ენაზე შედგეს. ცენზურა ქართულ ენაზე შედგენილ ამ ცნობებს კანონიერი საბუთის მნიშვნელობას არ ანიჭებს, რადგან იმპერიის შეხედულებების თანახმად, ტუზემცების ქართულად დაწერილი ამ დოკუმენტებს კანონიერი ძალა არ ჰქონდა, ხოლო ქართველ წმინდადნთა სახელები წარმართულად მიიჩნეოდა. თექვსმეტი საუკუნეა, წერს ფრონელი, რაც ქართველები განათლდნ და მას შემდეგ ყველაფერი ქართულ ენაზე იწერებოდა. რაღა ახლა XIX საუკუნეში დაკარგა ქართულმა ძალა. ფრონელი აღშფოთებას ვერ მალავს, რომ უარყოფილია არამართო ქართული ენა, არამედ საქართველოს წმინდანთა, წამებულთა და მოციქულთა სწორთა მოღვაწეობა. ფრონელის წერილის ტონი საკმაოდ კრიტიკულია. როგორც ცნობილია, რუსული ეკლესია ქართველ წმინდანებსაც არ ცნობდა.

ცენზურისაგან ნებადაურთავია წერილები, რომლებიც სასულიერო და საოასტატო სასწავლებლებში ქართულის ენის და რწმენის საკითხებს ეხება. ნებისმიერი ქართული მართლმადიდებლობასთან დაკავშირებული საკითხი რუსულთან შედარებით წინ არ უნდა წამოიწიოს. ფონდი (480- 1, 1190) 1882 წელს „დროებაში“ არ გაუშვეს სტატია, რომელშიც საუბარია, ქართული ენის მასწავლებელმა ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით ბავშვებს აუხსნა, რომ საქართველო მეოთხე საუკუნეში გაქრისტიანდა, ხოლო რუსეთმა ქრისტიანობა მეათე საუკუნეში მიიღო. რუსი ეგზარხოსების სურვილი იყო, რომ არსად არ აღნიშნულიყო ფაქტი, რომ ქრისტიანობა საქართველოში ბევრად უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე რუსეთში.

(ფონდი 480-1, 1340) 1896 წელს აიკრძალა „ივერიაში“ დასაბეჭდად პავლე ლომთაძის „წერილი ალაგირიდან“, სადაც საუბარია, რომ ალაღირის მოსახლეობა 100 კომლი ქართველები მოკლებული არიან თავიანთ ენაზე წირვა-ლოცვას. ხალხი წუხს, წირვა-ლოცვის დროს არცერთი სიტყვა არ ესმის, რადგან მღვდელი ოსია და ქართული არ იცის. ხალხის თხოვნას ყურადღება მიაქცია ეპისკოპოსმა ვლადიმერმა და ბრძანა, რომ წირვა-ლოცვა და ზიარება „მხოლოდ და მხოლოდ დიდი მარხვის მეხუთე კვირაში ქართულად ყოფილიყო“. დაინიშნა ქართველი მღვდელი ნესტორ ბაკურაძე, მან თავისი მადლიანი სიტყვით ხალხს სამშობლოსა და ეკლესიის მიმართ გრძნობა გაუღვივა. ეკლესიაში ქართულად იგალობეს. ხალხი ეკლესიიდან ცრემლმორეული გამოდიოდა. ზოგიერთ

„ვაჟბატონს“ ეს არ ესიამოვნა. ატეხეს ერთი ამბავი, რომ წირვა-ლოცვა ქართულად არ ყოფილიყო. საბოლოოდ ქართველი მღვდელი შეავიწროვეს. ეკლესიის ფანჯრები დაამტვრიეს და დიდი ხმური ატეხეს. ოსი მღვდელი ნესტორ ბაკურაძეს „გადარეული“ მივარდა და აუკრძალა ქართულად წირვა. სამწუხაროდ, ქართველები ამას უკვე ოცი წელი ითმენენ □ წერს ავტორი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში რუსეთის სინოდის მსგავს ქმედებებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა და არაერთი ქართველი სამღვდლო პირი, ვინც ხმა აიმაღლა სასტიკად დაისაჯა.

(ფონდი 480– 1, 1776) ვხვდებით აკრძალულ წერილს, რომელიც 1902 „ივერიაში“ უნდა დაბეჭდილიყო. წერილი მეტად საჭირბოროტო საკითხებს ეძღვნება. კერძოდ, საქართველოში სასამართლოებში მოსამართლეებად და სასამართლოს თანამშრომლებად ჩამოსული რუსები ინიშნებიან, ვინც ქართული ენა არ იცის, მკვიდრ მოსახლეობას კი ნებას არ რთავენ. ძალზედ ხშირ შემთხვევებში ბოროტმოქმედებას ხალხის ზნე-ჩვეულება, ყოფა – ცხოვრება და მოსახლეობის ხასიათი განსაზღვრავს. ადგილობრივებმა ეს გარემოებები კარგად იციან და უკეთ შეუძლიათ შეასრულონ ეს პასუხსაგები სამუშაო, ვიდრე ჩამოსულმა რუსებმა. თარგმანზე კი ადამიანების ბედია დამოკიდებული. წერილში ავტორი ითხოვს, რომ საქართველოში მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლებისათვის ქართული ენის ცოდნა სავალდებულო გახდეს. აქვე დავძენთ, რომ რუსეთის იმპერიას ამ ძალზედ სერიოზული საკითხისათვის ყურადღება არც მანამდე და არც შემდგომ არ მიუქცევია.

იმავე საქალაქდებია „დროებაში“ დასაბეჭდად შესული უსათაურო წერილი. ხელმოწერილია ი. წ. რომელიც, ალბათ, ილია წინამძღვრიშვილს ეკუთვნის. სტატიაში ქართველებზე და სომეხებზეა საუბარი, რომ ისინი ისტორიულად უხსოვარი დროიდან ერთად მოდიან, „ერთმანეთის მეზობლად იდგნენ და ერთი ტანჯვა და სევდა აწუხებდათ“. ავტორის მიზანია, რომ ამ ორ ერს შორის მეგობრობა სუფევდეს. „ამ ბრუნდე კვალის შეცვლა განათლების მიზანია. ქართველთა და სომეხთა ბედნიერება კიდევ ორივე ხალხის ძმობასა და დაახლოებას მოითხოვს, რადგანაც ერთი და იგივე ვითარებით და გარემოებით არიან დაკავშირებულნი“ – წერს იგი. ცენზორი სასტიკად აღუშფოთებია სტატიის შინაარსს, მან არამარტო წერილის გამოქვეყნება შეაჩერა, არამედ სტატია შავი ხაზებით გადახაზა. რუსული კოლონიური რეჟიმი ცდილობდა იმპერიაში შემავალი ერები ერთმანეთზე გადაემტერებინა, რადგან მისი მართველობის პრინციპი იყო – გათიშე და იბატონე. წერილის პათოსი კავკასიაში ქართველებისა და სომეხების დაახლოებაა, რაც რუსეთის იმპერიის გეგმებში კატეგორიულად არ შედიოდა.

რუსეთის იმპერიული ცენზურის რეაქციულ თარეშს წინ აღუდგა – ქართული მწერლობა, პრესა, თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ყველა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია. მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა XIX საუკუნე ქართველი ხალხისათვის ეროვნული იდეის, პიროვნებისა და აზროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლის ხანაა. XIX საუკუნის საქართველოში კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შევაფასოთ რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქვეყანაში კულტურის კონტროლის მართვის სისტემა.

მოხსენებაში საუბარია ქართული ენის შევიწროებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საცენზურო კომიტეტის საქმიანობის ამსახველ და მათ მიერ აკრძალულ მასალებზე, რომელიც საქართველოში რუსული იმპერიული ცენზურის მართვისა და მანიპულირების მექანიზმების შეფასებაში დაგვეხმარება.

დამოწმებული ლიტერატურა:

- მიქაძე, გ. (1998). ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში. თბილისი: „საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგაობის გამომცემლობა“.
- შარაბიძე, თ. (2024). დრამატურგიული ცენზურა კავკასიაში (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები). IX საეთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები. ქუთაისი.
- ხუნდაძე, ტრ. (1951). ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე). თბილისი: „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა“.
- ციციშვილი, თ. (1922). ქართული ხალხოსნური მწერლობა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის კრიტიკული აზრი. მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში. თბილისი: „მწიგნობარი“.
- ციციშვილი, თ. (2024). ზოგიერთი საკითხი რუსეთის იმპერიული ცენზურის ისტორიიდან XIX საუკუნის საქართველოში (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები). IX საეთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები. ქუთაისი.

References:

- Mikadze, G. (1998). Kartul psevdonimta samq'aroshi. [In the world of Georgian pseudonyms]. Tbilisi: „Sakartvelos Ilia Ch'vch'avadzis sakhelobis ts'ignis moq'varulata sazogadoebis resp'ublik'uri gamgaobis gamomtsemloba“.
- Khundadze, Tr. (1951). Nark'vevebi sakhalkho ganatlebis ist'oriidan sakartveloshi (XIX sauk'une). [Essays from the history of public education in Georgia (XIX century)]. Tbilisi: „Sakartvelos ssr ganatlebis saminist'ros p'edagogiur metsnierebata inst'it'ut'is gamomtsemloba“.
- Sharabidze, T. (2024). Dramat'urgiuli tsenzura k'avk'asiashi (XIX sauk'unis 60-70- iani ts'lebi). IX saetashoriso sametsniero k'onperentsiis „ena da k'ult'ura“ shromebi. [Dramaturgiel Censorship in the Caucasus. IX International Scientific Conference “language and Culture”]. Kutaisi.
- Tsitsishvili, T. (1922). Kartuli khalkhosnuri mts'erloba da XIX sauk'unis meore nakhevrts k'rit'ik'uli azri. Memartskhene mts'erlobis pormireba sakartveloshi. [Georgian Khalkhosani Literature and Critical Thought of the Second Half of the XIX Century. Shaping of the Georgian Leftist Literature (19th and 20th Centuries)]. Tbilisi: “mts'ignobari”.
- Tsitsishvili, T. (2024). Zogierti sak'itkhi rusetis imp'eriuli tsenzuris ist'oriidan XIX sauk'unis sakartveloshi (XIX sauk'unis 60-70-iani ts'lebi). IX saetashoriso sametsniero k'onperentsiis „ena da k'ult'ura“ shromebi. [Some Issues from the History of Russian Imperial Censorship. IX International Scientific Conference “language and Culture”]. Kutaisi.